10658/4-1/21 2 26102021

10658/4-1/21
26-10-2021

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს პარლამენტში განხორციელდა თემატური მოკვლევა „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წელს.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ, დანართის სახით გიზიარებთ ანგარიშის ტექსტს. თემატური მოკვლევის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოში ადამიანის ტყვიის მიმართ ექსპოზიციის შესწავლა და კორელაციის დადგენა ინდივიდებში ტყვიის შემცველობასა და იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც უკავშირდება ტყვიით გარემოს, კერძოდ, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის შესაძლო დაბინძურებას. მოკვლევის ფარგლებში სახელმწიფო უწყების მიმართ შემუშავდა რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დანართი (77 ფურცლად)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

GOV 6 21 00041750

02/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის №10658/4-1/21 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება თემატური მოკვლევის („გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“) ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (№ 12105/01; 24.11.2021), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (№ 01/18206; 17.11.2021) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (№ 07/8104; 30.11.2021) მიერ წარმოდგენილ ინფორმაციებს.

პატივისცემით,

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0143133552821

№ **01/128** **16 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს ბატონ
გენადი არველაძეს

ბატონო გენადი,

სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოში შემოსულია თქვენი 2021 წლის 15 ნოემბრის № 07/7776 წერილი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიშსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, სააგენტოს მიერ უნდა მოხდეს ინფორმაციის წარდგენა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეული სამომხმარებლო პროდუქტების შესახებ, რომლებიც პოტენციურად დაექვემდებარება სააგენტოს კონტროლს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ანგარიშში გათვალისწინებული პროდუქტებიდან სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ამ ეტაპზე ზედამხედველობას ახორციელებს სათამაშოებზე, რაც ასევე მოიცავს აღნიშნულ პროდუქტებში ტყვიის შემცველობის კონტროლს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის № 148 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესი, რომლის მიხედვითაც, რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ, სააგენტოს ზედამხედველობას ასევე დაექვემდებარება სამშენებლო საღებავები, მათში ტყვიის შემცველობის კონტროლის კუთხით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ სააგენტო ამ ეტაპზე ზედამხედველობას ახორციელებს შემდგომ სამომხმარებლო პროდუქტებზე: ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები. ასევე, სააგენტოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება იგეგმება სამომხმარებლო ტიპის სამშენებლო პროდუქტებზე და ძაბვის გარკვეულ ზღვრებში მომუშავე ელექტრო მოწყობილობებზე.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

რამაზ ობოლაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020174783113221

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7796 **15 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს ბატონ
გენადი არველაძეს

ბატონო გენადი,

თქვენი 2021 წლის 15 ნოემბრის N07/776 წერილის პასუხად გაცნობებთ:

როგორც სსიპ წიაღის ეროვნული სააგნეტოს 2021 წლის 09 მარტის N22/1159 წერილში ავღნიშნეთ, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიშში (გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიეცა შემდეგი რეკომენდაცია: “საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს დაავალოს სამთომოპოვებითი ფართობის რეკულტივაციისა და რეგენერაციის სახელმძღვანელო ჩარჩოს შემუშავება, რომელიც უნდა განხორციელდეს 2022 წლის ბოლომდე.”

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ მხარდაჭერილი რეფორმის II ფაზის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სექტორის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის განახლებაზე, რომლის ფარლებშიც ასევე მუშავდება რეგულაციები საბადოთა რეკულტივაციის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს - ,,საბადოთა დახურვა და ეკონომიკური რეგენერაციის კვლევა”. პროექტის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება საბადოთა დახურვისა და სამთომოპოვებითი ფართობის რეკულტივაციისა და რეგენერაციის სახელმძღვანელო ჩარჩო.

ასევე როგორც თქვენთვის ცნობილია, პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადდა საბადოთა დახურვისა და ეკონომიკური რეგენერაციის კვლევის ანგარიში (გაზიარებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან). კონსულტანტების მიერ ასევე მომზადდა საბადოთა დახურვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო ინსტრუქციები (toolkit).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე

KA020121884754521

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/8104 **30 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
უფროსის მოადგილეს, მთავრობის
საპარლამენტო მდივანს
ბატონო ბექა დოჭვირს

ბატონო ბექა,

თქვენი მიდინარე წლის პირველი ნოემბრის GOV 52100038131 წერილით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფის ანგარიშის „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“ საფუძველზე თანდართული წერილების (სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (N01/128, 16.11.2021) და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს (N22/7796, 15.11.2021) წერილები) სახით გიგზავნით აღნიშნული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ განახლებულ ინფორმაციას.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030619938124521

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/4935 **17 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს ქალბატონ
თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - „ცენტრი“) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) მიერ მიმდინარე წლის 4 ნოემბერს გამოგზავნილი N01/17311 წერილი და საქართველოს პარლამენტიდან გადმოგზავნილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიში „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“.

მოგახსენებთ, რომ საქართველოში 2018 წელს მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევის MICS-ის ფორმატში ჩატარებულმა ტყვიის კვლევის შედეგებმა ცხადყო ქვეყანაში საკითხის აქტუალობა და სახელმწიფოს პროაქტიული მიდგომის საჭიროება, რის საფუძველზეც დამტკიცდა „ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის ღონისძიებების გატარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის № 869 განკარგულება, ხოლო 2019 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის # 240 დადგენილებით, ცვლილება შევიდა „2019 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #693 დადგენილებაში და მკაფიოდ განისაზღვრა საჭირო სამედიცინო ინტერვენციების განხორციელება იმ ბავშვებისა და ექსპოზიციის ქვეშ მყოფი მათი ოჯახის სხვა წევრებისთვის (18 წლამდე ოჯახის წევრები და ორსულები), რომლებსაც ტყვიის კონცენტრაციის საგანგაშო მაჩვენებელი დაუფიქსირდათ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცდა „დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის“ პროგრამის „ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგის“ კომპონენტი. 2019 წლის 30 ივლისიდან კი მომსახურეობის განმახორციელებელია სს „ევექსის ჰოსპიტლები“ „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“.

აღნიშნული კომპონენეტი მოიცავს სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, ოჯახის ექიმისა და/ან პედიატრის რეფერალის საფუძველზე, 7 წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვლევას სისხლში ტყვიის შემცველობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგად ბავშვის სისხლში ტყვიის 5 მკგ/დლ-ის ან მეტის შემცველობის შემთხვევაში მათ უზრუნველყოფას შესაბამისი სამედიცინო სერვისებითა და მედიკამენტებით, ასევე მათი ოჯახის წევრების (18 წლამდე ასაკის ბავშვები და ორსულები) გამოკვლევას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო სერვისებით მოცვას. კერძოდ:

· სისხლში ტყვიის შემცველობის დონის განსაზღვრას გრაფიტული აბსორბციის ატომური სპექტრომეტრული ან/და პლაზმური მასპექტრომეტრული მეთოდით;
· დამატებით დიაგნოსტიკას, მათ შორის:
ა) ექიმი პედიატრის კონსულტაციას, რომელიც მოიცავს:
-ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების შეფასებას, წინასწარ შედგენილი, სპეციალური კითხვარის მეშვეობით;
- ბავშვის კვებითი სტატუსის განსაზღვრას – კვების რაციონში ვიტამინების, კალციუმისა და რკინის შემცველობის შესახებ ინფორმაციის მიღება;
-ბავშვის მშობლებისათვის (კანონიერი წარმომადგენლებისათვის) საერთაშორისო რეკომენდაციების გაცნობას, ტყვიით ექსპოზიციის შესაძლო წყაროების შესახებ;

ბ) დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას:

- ექიმი პედიატრის კონსულტაცია
- სისხლის საერთო ანალიზი
- ფერიტინის განსაზღვრა სისხლში
- C რეაქტიული ცილა
- შარდში ჰემატინის განსაზღვრა
- ჰემოგლობინი ან ჰემატოკრიტი
- რკინის დონე სისხლში
- მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია

გ) იმ მოსარგებლეებისთვის, რომელთა სისხლში ტყვიის კონცენტრაცია შეადგენს ან მეტია 5 მკგ/დლ-ზე, მედიკამენტებით (რკინის პრეპარატებით, კალციუმითა და მულტივიტამინებით) უზრუნველყოფას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად;

დ) ოჯახის ექიმების, პედიატრებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების სპეციალისტების შესაბამისი გუნდების გადამზადებას ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის საკითხებში.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საქართველოს ოფისთან, კერძოდ:

· UNICEF-ის მხარდაჭრით ცენტრს გადმოეცა ლაბორატორიული ხელსაწყო/დანადგარები და შესაძლებელი გახდება კვლევები შესრულდეს უახლესი თაობის ხელსაწყოების გამოყენებით, კერძოდ: მას-სპექტრომეტრი ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმით (ICP-MS), გაზური (GC) და სითხური (LC) ქრომატოგრაფები, ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრი (AAS), რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრი (XRF) ქიმიური რისკის იდენტიფიცირებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

·ქიმიურ რისკ ფაქტორთა კვლევის ლაბორატორიაში პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ლაბორატოული ხელსაწყოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლების დახმარებით თანამშრომელთა გადამზადება, ტრენინგები და სწავლება, ლაბორატორიული კვლევის მეთოდებისა და სტანდარტების მომზადება და დანერგვა.

·მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იგეგმება ადამიანის სისხლის ნიმუშებში მძიმე მეტალების, მ.შ. ტყვიის შემცველობის განსაზღვრა ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრით (ICP-MS), რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ საუკეთესო ე.წ. „ოქროს სტანდარტს“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №148 დადგენილებით დამტკიცდა **"ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების თაობაზე"** და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5141998?publication=0

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მიღება უკავშირდება გაერო-ს (WHO, UNEP), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გლობალური ალიანსის (საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის მიზნით (GAELP) რეკომენდაციებს, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ტყვიის შემცველი საღებავების წარმოებისა და რეალიზაციის შემცირებას/აკრძალვას, ამგვარი მასალების მიერ წარმოქმნილი რისკებისა და საფრთხეების საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით.

ქართულ ენაზე გამოიცა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობიერების ამაღლების მასალა, რომელიც ასევე განთავსებულია ჯანმო-ს ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე.

- „ტყვიის შემცველი საღებავების გლობალური ელიმინაცია რატომ და როგორ უნდა მიიღონ ზომები ქვეყნებმა“ https://www.ncdc.ge/#/pages/file/73a8fa75-6548-4e6c-9e0a-2ec0a4afe23d
- „ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებით ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების სახელმძღვანელო https://www.ncdc.ge/#/pages/file/3d38e1e5-a952-4f9d-9a6b-3192fe06c588

2021 წლის 24-30 ოქტომბერს გაიმართა ტყვიით მოშხამვის პრევენციის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანია,, გადაითარგმნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მასალები და დაიბეჭდა. ჩატარდა კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ქ. გორის მე-2 საჯარო სკოლაში, ქ. თელავის მე-4 საჯარო სკოლაში, ქ.დუშეთის 1 საბავშვო ბაღში პედაგოგებთან და აღსაზრდელების მშობლებთან, სადაც დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტყვიით ინტოქსიკაციის პრევენციასთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებთან. საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომია ცენტრის ვებ-გვერდზე:
https://test.ncdc.ge/Pages/User/Documents.aspx?ID=0a32a9d6-3468-4aad-9726-4987ef0db828
რაც შეეხება, თემატური მოკვლევის რეკომენდაციების ნაწილის მე-18 პუნქტს, რომელიც ეხება ცენტრის მიერ 2021 წლის ბოლომდე მაღალი პროფესიული რისკ-ჯგუფებისათვის ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების გამოვლენისა და მართვის კლინიკური პროტოკოლის შემუშავებას, ეს საკითხი წარმოადგენს კლინიკური ასოციაციების მიერ შესამუშავებელ საკითხის, თუმცა ცენტრი მზადაა მონაწილეობა მიიღოს კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი	ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად	ამირან გამყრელიძე

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12105/01
24/11/2021

12105-01-2-202111241746

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს,
მთავრობის საპარლამენტო მდივანს
ბატონ *ბექა დოჭვირს*

ბატონო ბექა,

თქვენი 01/11/2021 N GOV 1 21 00038128 წერილის პასუხად, დანართის სახით წარმოგიდგენთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციას, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის („გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“) ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დანართი: 7 (შვიდი) გვ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

დანართი

ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიშში - „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

<u>რეკომენდაცია 8.</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 6 თვის ვადაში შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა თანამედროვე, აპრობირებული მეთოდოლოგიის შესაბამისად საპილოტე მუნიციპალიტეტებში (აჭარასა და გურიაში) გარემოს (ნიადაგი, ჰაერი, წყალი) ტყვიით დაბინძურების მდგომარეობის შესწავლის შესახებ.

ტყვიის დაბინძურების წყაროს იდენტიფიკაციის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, გურიის რეგიონში 2020 წელს აღებული იქნა სინჯები 50 ბავშვის საცხოვრებელი გარემოდან, ატმოსფერული ჰაერის 50 სინჯი, ნიადაგის 102 და წყლის 39 სინჯი, ხოლო 2021 წელს აჭარის რეგიონში აღებული იქნა სინჯები 50-ზე მეტი ბავშვის საცხოვრებელი გარემოდან, ატმოსფერული ჰაერის 62 სინჯი, ნიადაგის 106 და წყლის 33 სინჯი.

<u>რეკომენდაცია 9.</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2021 წლის ბოლომდე დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი, რომლითაც დადგინდება სასმელი წყლის შემცველობაში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდოლოგია რეგიონალური (ადგილობრივი) წყლის კომპანიებისთვის შესაბამისი აკრედიტირებული ლაბორატორიების საშუალებით;

საქართველოს კანონის - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მუხლი 58-ის პირველი პუნქტის თანახმად, „ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, რომელიც ადგენს ტექნიკური რეგლამენტის მიზანს და მოქმედების სფეროს.“

აქვე გაცნობებთ, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დღეისათვის მოქმედი აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაციის სფეროთი განსაზღვრულია სასმელ წყალში ტყვიის განსაზღვრისათვის შემდეგი მეთოდების გამოყენება: ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრია სსტ ისო 8288:2008; სპექტრომეტრია გოსტ 31870 - 2012;

ვოლტამპერომეტრიული მეთოდი გოსტ 33824-2016; ვოლტამპერმეტრია - MI -G163 - 19.01;

ასევე სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში რეგისტრირებული და ხელმისაწვდომია სასმელი წყლის შემცველობაში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდი - „სსტ ენ ისო 13163:2019/2020 - წყლის ხარისხი - ტყვია-210 - გამოცდის მეთოდი თხევადი ციმციმების დათვლის გამოყენებით (ისო 13163: 2013)“;

<u>რეკომენდაცია 10.</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2021 წლიდან სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაავალოს ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის კონცენტრაციის კვლევის ჩატარება თბილისში მინიმუმ ერთ ან რამდენიმე, მათ შორის, ფონურ წერტილში, რაც დინამიკაში დაკვირვების საშუალებას მოგვცემს. აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროს მიერ დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით პროაქტიულად გამოქვეყნდეს ჰაერის შესაბამის ელექტრონულ პორტალზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით აწარმოებდა სინჯების აღებას ქალაქ თბილისში, ასევე ბათუმსა და რუსთავში განთავსებულ სადგურებზე. ლაბორატორიული კვლევები ტარდება სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში.

გარდა ამისა, 2021 წელს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, რეკომენდაციების შესრულების მიზნით, შეისყიდა მძიმე ლითონების ანალიზისთვის საჭირო გრავიმეტრული ანალიზის ხელსაწყოები, რომელიც განთავსდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მოქმედ სტაციონალურ სადგურებში ქ. თბილისში ორ ლოკაციაზე, (წერეთლის გამზ. 105 და ილიას ბაღში) და ქ. რუსთავში (ბათუმის ქ. 19). შესაბამისად, 2021 წლის სექტემბრიდან ქ. თბილისში უწყვეტ რეჟიმშში მიმდინარეობს სინჯების აღება და მძიმე მეტალების კერძოდ, ტყვიის, ნიკელის, კადმიუმის, დარიშხანისა და ასევე ბენზაპირენის ანალიზები, ხოლო ქ. რუსთავში მიმდინარეობს მეთოდის დანერგვის პროცედურები.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან დღემდე სააგენტომ განახორციელდა სამუშაოები და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ძირითადად ევროკავშირის დირექტივებთან არის შესაბამისობაში, განსაზღვრული ყველა მავნე ნივთიერების მონიტორინგი უკვე ხორციელდება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემები განთავსებულია ჰაერის ხარისხის პორტალზე http://air.gov.ge/.

<u>რეკომენდაცია 11</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 6 თვის

ვადაში მოამზადოს და კომიტეტს წარმოუდგინს სამომხმარებლო ნარჩენების კლასიფიცირების შესახებ ანგარიში, რომლიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას - როგორ განხორციელდება მოხმარებული ბატარეების, აკუმულატორების, მოძველებული ელექტროტექნიკის და სხვა ტყვიის შემცველი პროდუქციის სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე განთავსება. ასევე მომავალში როგორ განხორციელდება მათი გადამუშავება-აღდგენა თანამედროვე ტექნოლოგიებით.

დღეისათვის საქართველოში ნარჩენების მართვა რეგულირდება ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც თანხვედრაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია 2016-2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (ამ ეტაპზე მუშავდება 2021-2025 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმა).

ნარჩენების კლასიფიკაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით

ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ შესაბამისად. ამასთან ერთად ძალაშია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ), რომელიც ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებთან ერთად, დამატებით პირობებსა და ვალდებულებებს უსაზღვრავს ისეთი პროდუქტის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს, რომელთა პროდუქტის გამოყენების შემდეგ სპეციფიკური ნარჩენები წარმოიქმნება. ესენია: ელექტრო- და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები, ნარჩენი ზეთები, საბურავების ნარჩენები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები და შეფუთვის ნარჩენები.

ამ ეტაპზე, საქართველოს მთავრობის მიერ, დამტკიცებულია მგვ-თან დაკავშირებული ოთხი ტექნიკური რეგლამენტი. ორი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი -„ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ“ და „შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ“ მომზადებულია და იგეგმება მისი საქართველოს მთავრობაში წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ტექნიკური რეგლამენტების “ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N324; 25.05.2020) და „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ (N326; 25.05.2020) ძირითადი მიზნებია ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების ან სხვაგვარად აღდგენისა და ასეთი ნარჩენის განთავსების შემცირების უზრუნველყოფა.

რეგლამენტებში განსაზღვრულია პროცესში ჩართული ყველა მხარის უფლებამოვალეობები; მოცემულია აღნიშნული ნარჩენების შეგროვებასთან,

დამუშავებასთან, რეციკლირებასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები (მათ

შორის ნარჩენების შეგროვების, დასაწყობების, სახიფათო კომპონენტებისა და ნარევების ამოღების ტექნიკური მოთხოვნები). ამასთანავე, აღნიშნული რეგლამენტებით დადგენილია მწარმოებლების მიერ, ბატარეებისა და აკუმულატორების და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების (კატეგორიების მიხედვით) შეგროვებისა და აღდგენის მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით.

<u>რეკომენდაცია 12.</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 6 თვის ვადაში კომიტეტს წარუდგინოს ხედვა, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს პესტიციდების, ჰერბიციდებისა და ინსექტიციდების კონტროლი ტყვიის კონცენტრაციაზე.

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ისეთი პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის წარმოება, რეალიზაცია და გამოყენება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის რეგისტრირებული საქართველოში. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №443-ით - ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, რეგისტრაციაში შეიძლება გატარდეს მხოლოდ ის პესტიციდი, რომელზეც მიღებულია შესაბამისი ექსპერტიზის და სარეგისტრაციო გამოცდის დადებითი დასკვნები.

პესტიციდის სარეგისტრაციო პროცესი მოიცავს პესტიციდის განაცხადის (დოსიეს) განხილვას, ექსპერტიზის და სარეგისტრაციო გამოცდის ეტაპებს. პესტიციდის რეგისტრაციისას მხედველობაში მისაღებია აქტიური ნივთიერების სიწმინდის მინიმალური დონე და ასევე კონკრეტული მინარევების სახე და მაქსიმალური შემცველობა; თანამედროვე პესტიციდების ასორტიმენტი არ შეიცავს თავის შემადგენლობაში ტყვიას.

<u>რეკომენდაცია 13</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2021 წლის ბოლომდე შეიმუშავოს სია ადგილობრივი მწარმოებლების რისკ-ჯგუფებისა, რომელთა მიერ რეალიზებული სურსათი შესაძლოა შეიცავდეს ტყვიის მაღალ კონცენტრაციას. აგრეთვე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების შედეგად გამოავლინოს ის ქვეყნები და ის სურსათი, რომლებიც, შესაძლოა, შეიცავდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე მეტ ტყვიის ოდენობას და შეიმუშავოს რეკომენდაციები იმპორტიორი ორგანიზაციებისთვის.

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში სუნელ-სანელებლებში ტყვიის შემცველობის ლაბორატორიული ტესტირების შედეგების ანალიზით, 2020 და 2021 წლებში დარღვევა არ გამოვლენილა. ამდენად, დღეისათვის მიღწეულია რისკის მისაღები დონე. შესაბამისად, დარღვევების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლების გამო, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 თებერვლის N73 დადგენილებით განსაზღვრული დროებითი ზომების გაგრძელების საკითხი, სააგენტოს მიერ არ იქნა ინიცირებული.

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებულ „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ელექტრონულ პროგრამაში“ შეყვანილია ყველა ბიზნესოპერატორი, რომელთა მიერ რეალიზებული სურსათი შესაძლოა შეიცავდეს ტყვიის მაღალ კონცენტრაციას, რომლებზეც ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი (მ.შ. ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა). ამასთან, გამოვლენილი იქნა მაღალი რისკის ქვეყნები (უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ინდოეთი, უკრაინა, ჩინეთი, რუსეთი, ეგვიპტე) და სურსათი, რომლებიც შესაძლოა, შეიცავდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე მეტ ტყვიის ოდენობას. იმპორტირებული სურსათის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ, სააგენტოსთან შეთანხმებული სიხშირით (მ.შ. სუნელ-სანელებლები 50%-იანი სიხშირით).

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციის საფუძველზე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა მულტილატერული პროექტი, გამიზნული სურსათის მოხმარების შესწავლისთვის.

<u>რეკომენდაცია 14</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა 6 თვის განმავლობაში ტყვიის მონიტორინგის კუთხით ჩაატაროს სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების თანამშომლების გადამზადების კუთხით საჭიროებების კვლევა.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების თანამშრომლების გადამზადების კუთხით ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიისა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების საჭიროება.

2021 წლის 28 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის

თანამშრომლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი - ტყვიის ანალიზი ოპტიკურ ემისიური სპექტროსკოპიის მეთოდით, რომელიც მოიცავდა, როგორც თეორიულ

ასევე პრაქტიკულ ნაწილს შემდეგ საკითხებზე: ინდუქტიურად შეუღლებული პლაზმის ოპტიკურ ემისიური სპექტროსკოპიის თეორიული საფუძვლები; Agilent 700 სერიის ICP-OES ხელსაწყოს აღნაგობა; ICP-Expert პროგრამული უზრუნველყოფის მიმოხილვა; ტყვიის საკალიბრო გრაფიკის აგება; ნიადაგის ნიმუშების აღების და მომზადების მეთოდები ტყვიის ანალიზისთვის ICP-OES მეთოდით; ნიადაგის ნიმუშებში ტყვიის შემადგენლობის განსაზღვრა; წყლის ნიმუშების აღების და მომზადების მეთოდები ტყვიის ანალიზისთვის ICP-OES მეთოდით; წყლის ნიმუშებში ტყვიის შემადგენლობის განსაზღვრა; ჰაერის ნიმუშების აღების და მომზადების მეთოდები ტყვიის ანალიზისთვის ICP-OES მეთოდით; წყლის ნიმუშებში (ფილტრებში) ტყვიის შემადგენლობის განსაზღვრა. კურსი გაიარა 5-მა თანამშრომელმა.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის დაიგეგმა ტრენინგი სურსათის ნიმუშების აღების წესების შესახებ მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების რაოდენობის კონტროლისთვის, რომლის ფარგლებშიც გადამზადდება 120 უფლებამოსილი პირი.

<u>რეკომენდაცია 20</u>

მიზანშეწონილია, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა 2020 წლის ბოლომდე, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშაოს მულტილატერული პროექტი თანმხლები ბიუჯეტით, გამიზნული სურსათის მოხმარების შესწავლისთვის. (პროექტის განხორციელებით მიღებული სურსათის მოხმარების მონაცემები, სურსათში ტყვიის ხდომილების მონაცემებთან ერთად, მოხმარდება სურსათისმიერ ტყვიასთან ექსპოზიციის განსაზღვრას რისკის შეფასების ნაწილში).

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციის საფუძველზე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა მულტილატერული პროექტი, გამიზნული სურსათის მოხმარების შესწავლისთვის. აქვე გაცნობებთ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №442- ის - „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე ორგანოები ცენტრს, ცენტრის მოთხოვნით, რისკის შეფასების მიზნისათვის აწვდიან ინფორმაციას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფაქტობრივი კვების კვლევის შესახებ. ამდენად, „სურსათის მოხმარება“ („ფაქტობრივი კვების კვლევა“) წარმოადგენს რისკის მმართველის და არა რისკის შემფასებლის (სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრი) უფლებამოვალეობასა და კომპეტენციას.

დამატებით გაცნობებთ,

რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის N567 დადგენილება - „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს სურსათში ტყვიის შემცველობის მაქსიმალურ ზღვარს, მომზადდა ევროკავშირის რეგულაცია -“COMMISSION REGULATION (EC) No 1881/2006 of 19 December 2006 setting maximum levels for certain contaminants in foodstuffs კონსოლიდირებული ვერსიის საფუძველზე 2015 წელს. აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ, რეგულაციაში, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის COMMISSION REGULATION (EU) 2021/1317 of 9 August 2021 amending Regulation (EC) No 1881/2006 as regards maximum levels of lead in certain foodstuffs; შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების“ ფარგლებში აღებული საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულების დინამიურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენს მიერ მომზადებულია ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მომზადდა ასევე ცვლილებების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N547 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რაც განპირობებული იყო ასევე ევროკავშირის რეგულაცია - COMMISSION REGULATION (EC) No 333/2007 of 28 March 2007 laying down the methods of sampling and analysis for the control of the levels of trace elements and processing contaminants in foodstuffs- ში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებით - COMMISSION IMPLEMENTING REGULATION (EU) 2021/705, of 28 April 2021, amending Regulation (EC) No 333/2007 as regards the required number of incremental samples and the performance criteria for some methods of analysis.

ამ ცვლილებების განხორციელების შემდეგ, სსიპ- სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფლებამოსილ მოხელეებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ჩაუტარდებათ შესაბამისი სწავლებები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030140065454521

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18206 **17 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის
მოადგილეს, ბატონ ბექა დოჭვირს

ბატონო ბექა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად განიხილა თქვენი 2021 წლის 1 ნოემბრის GOV 2 21 00038129 წერილით გადმოგზავნილი კორესპოდენცია, რომელიც ეხება - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიშის („გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“) შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

წარმოგიდგენთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილს მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია

10659/4-1/21 2 26102021

10659/4-1/21
26-10-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს პარლამენტში განხორციელდა თემატური მოკვლევა „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წელს.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ, დანართის სახით გიზიარებთ ანგარიშის ტექსტს. თემატური მოკვლევის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოში ადამიანის ტყვიის მიმართ ექსპოზიციის შესწავლა და კორელაციის დადგენა ინდივიდებში ტყვიის შემცველობასა და იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც უკავშირდება ტყვიით გარემოს, კერძოდ, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის შესაძლო დაბინძურებას. მოკვლევის ფარგლებში სახელმწიფო უწყების მიმართ შემუშავდა რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დანართი (77 ფურცლად)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030127076529321

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18291 **18 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად განიხილა თქვენი 2021 წლის 26 ოქტომბრის № 10659/4-1/21 წერილით გადმოგზავნილი კორესპოდენცია, რომელიც ეხება - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიშის („გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“) შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

წარმოგიდგენთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილს მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად თამარ გაბუნია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030619938124521

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/4935 **17 / ნოემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს ქალბატონ
თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - „ცენტრი“) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) მიერ მიმდინარე წლის 4 ნოემბერს გამოგზავნილი N01/17311 წერილი და საქართველოს პარლამენტიდან გადმოგზავნილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიში „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“.

მოგახსენებთ, რომ საქართველოში 2018 წელს მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევის MICS-ის ფორმატში ჩატარებულმა ტყვიის კვლევის შედეგებმა ცხადყო ქვეყანაში საკითხის აქტუალობა და სახელმწიფოს პროაქტიული მიდგომის საჭიროება, რის საფუძველზეც დამტკიცდა „ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის ღონისძიებების გატარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის № 869 განკარგულება, ხოლო 2019 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის # 240 დადგენილებით, ცვლილება შევიდა „2019 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #693 დადგენილებაში და მკაფიოდ განისაზღვრა საჭირო სამედიცინო ინტერვენციების განხორციელება იმ ბავშვებისა და ექსპოზიციის ქვეშ მყოფი მათი ოჯახის სხვა წევრებისთვის (18 წლამდე ოჯახის წევრები და ორსულები), რომლებსაც ტყვიის კონცენტრაციის საგანგაშო მაჩვენებელი დაუფიქსირდათ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცდა „დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის“ პროგრამის „ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგის“ კომპონენტი. 2019 წლის 30 ივლისიდან კი მომსახურეობის განმახორციელებელია სს „ევექსის ჰოსპიტლები“ „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“.

აღნიშნული კომპონენეტი მოიცავს სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, ოჯახის ექიმისა და/ან პედიატრის რეფერალის საფუძველზე, 7 წლამდე ასაკის ბავშვების გამოკვლევას სისხლში ტყვიის შემცველობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგად ბავშვის სისხლში ტყვიის 5 მკგ/დლ-ის ან მეტის შემცველობის შემთხვევაში მათ უზრუნველყოფას შესაბამისი სამედიცინო სერვისებითა და მედიკამენტებით, ასევე მათი ოჯახის წევრების (18 წლამდე ასაკის ბავშვები და ორსულები) გამოკვლევას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო სერვისებით მოცვას. კერძოდ:

· სისხლში ტყვიის შემცველობის დონის განსაზღვრას გრაფიტული აბსორბციის ატომური სპექტრომეტრული ან/და პლაზმური მასპექტრომეტრული მეთოდით;
· დამატებით დიაგნოსტიკას, მათ შორის:
ა) ექიმი პედიატრის კონსულტაციას, რომელიც მოიცავს:
-ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების შეფასებას, წინასწარ შედგენილი, სპეციალური კითხვარის მეშვეობით;
- ბავშვის კვებითი სტატუსის განსაზღვრას – კვების რაციონში ვიტამინების, კალციუმისა და რკინის შემცველობის შესახებ ინფორმაციის მიღება;
-ბავშვის მშობლებისათვის (კანონიერი წარმომადგენლებისათვის) საერთაშორისო რეკომენდაციების გაცნობას, ტყვიით ექსპოზიციის შესაძლო წყაროების შესახებ;

ბ) დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას:

- ექიმი პედიატრის კონსულტაცია
- სისხლის საერთო ანალიზი
- ფერიტინის განსაზღვრა სისხლში
- C რეაქტიული ცილა
- შარდში ჰემატინის განსაზღვრა
- ჰემოგლობინი ან ჰემატოკრიტი
- რკინის დონე სისხლში
- მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია

გ) იმ მოსარგებლეებისთვის, რომელთა სისხლში ტყვიის კონცენტრაცია შეადგენს ან მეტია 5 მკგ/დლ-ზე, მედიკამენტებით (რკინის პრეპარატებით, კალციუმითა და მულტივიტამინებით) უზრუნველყოფას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად;

დ) ოჯახის ექიმების, პედიატრებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების სპეციალისტების შესაბამისი გუნდების გადამზადებას ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის საკითხებში.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საქართველოს ოფისთან, კერძოდ:

· UNICEF-ის მხარდაჭრით ცენტრს გადმოეცა ლაბორატორიული ხელსაწყო/დანადგარები და შესაძლებელი გახდება კვლევები შესრულდეს უახლესი თაობის ხელსაწყოების გამოყენებით, კერძოდ: მას-სპექტრომეტრი ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმით (ICP-MS), გაზური (GC) და სითხური (LC) ქრომატოგრაფები, ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრი (AAS), რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრი (XRF) ქიმიური რისკის იდენტიფიცირებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

·ქიმიურ რისკ ფაქტორთა კვლევის ლაბორატორიაში პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ლაბორატოული ხელსაწყოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლების დახმარებით თანამშრომელთა გადამზადება, ტრენინგები და სწავლება, ლაბორატორიული კვლევის მეთოდებისა და სტანდარტების მომზადება და დანერგვა.

·მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იგეგმება ადამიანის სისხლის ნიმუშებში მძიმე მეტალების, მ.შ. ტყვიის შემცველობის განსაზღვრა ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრით (ICP-MS), რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ საუკეთესო ე.წ. „ოქროს სტანდარტს“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აპრილის №148 დადგენილებით დამტკიცდა **"ტექნიკური რეგლამენტი – ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის რეგლამენტირების წესის დამტკიცების თაობაზე"** და დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5141998?publication=0

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მიღება უკავშირდება გაერო-ს (WHO, UNEP), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გლობალური ალიანსის (საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის მიზნით (GAELP) რეკომენდაციებს, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ტყვიის შემცველი საღებავების წარმოებისა და რეალიზაციის შემცირებას/აკრძალვას, ამგვარი მასალების მიერ წარმოქმნილი რისკებისა და საფრთხეების საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით.

ქართულ ენაზე გამოიცა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობიერების ამაღლების მასალა, რომელიც ასევე განთავსებულია ჯანმო-ს ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე.

- „ტყვიის შემცველი საღებავების გლობალური ელიმინაცია რატომ და როგორ უნდა მიიღონ ზომები ქვეყნებმა“ https://www.ncdc.ge/#/pages/file/73a8fa75-6548-4e6c-9e0a-2ec0a4afe23d
- „ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებით ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების სახელმძღვანელო https://www.ncdc.ge/#/pages/file/3d38e1e5-a952-4f9d-9a6b-3192fe06c588

2021 წლის 24-30 ოქტომბერს გაიმართა ტყვიით მოშხამვის პრევენციის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანია,, გადაითარგმნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მასალები და დაიბეჭდა. ჩატარდა კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ქ. გორის მე-2 საჯარო სკოლაში, ქ. თელავის მე-4 საჯარო სკოლაში, ქ.დუშეთის 1 საბავშვო ბაღში პედაგოგებთან და აღსაზრდელების მშობლებთან, სადაც დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია ტყვიით ინტოქსიკაციის პრევენციასთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებთან. საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომია ცენტრის ვებ-გვერდზე:
https://test.ncdc.ge/Pages/User/Documents.aspx?ID=0a32a9d6-3468-4aad-9726-4987ef0db828
რაც შეეხება, თემატური მოკვლევის რეკომენდაციების ნაწილის მე-18 პუნქტს, რომელიც ეხება ცენტრის მიერ 2021 წლის ბოლომდე მაღალი პროფესიული რისკ-ჯგუფებისათვის ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების გამოვლენისა და მართვის კლინიკური პროტოკოლის შემუშავებას, ეს საკითხი წარმოადგენს კლინიკური ასოციაციების მიერ შესამუშავებელ საკითხის, თუმცა ცენტრი მზადაა მონაწილეობა მიიღოს კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი	ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად	ამირან გამყრელიძე